კავკასიის ტურიზმის სკოლა (CTS)

„"შრომას ყოველთვის მოჰყვება შედეგი!" - ეს არის, კავკასიის უნივერსიტეტში, ერთ-ერთ ლექციაზე მოსმენილი ფრაზა, რომელიც ჩემი ცხოვრების თანამდევი გახდა.

2021 წელს მე და ჩემმა პარტნიორმა აქტიურად დავიწყეთ მუშაობა და შესწავლა ტექნოლოგიის, რომელიც საქართველოში ჯერჯერობით არც თუ ისე პოპულარულია. შევქმენით ხელნაკეთი დეკორატიული სარკეების ონლაინ მაღაზია „HALO • ჰალო“, რომელსაც საქართველოს ბაზარზე ანალოგი არ აქვს და აქტიურად დავიწყეთ ოპერირება საქართველოს და არამარტო საქართველოს მასშტაბით.

უნარ-ჩვევები და მიღებული ცოდნა, რაც მე დღეს ყოველდღიურ მუშაობის პროცესში მეხმარება, გამოვიმუშავე კავკასიის უნივერსიტეტში. შედეგზე ორიენტირებული მიზნის დასახვა, სწორხაზოვანი აზროვნება და რაც მთავარია თავდაჯერებულობა აღმოჩნდა ის კომპონენტები, რაც ჩემი მიზნის მიღწევაში მეხმარება. ყოველთვის მჯეროდა რომ ადამიანის შესაძლებლობებს და მიზნის სიდიდეს საზღვარი არ აქვს, მთავარია მის მისაღწევად შერჩეული გზა და თავდაუზოგავი შრომა.“